

ეკოლოგიური საკითხები

პროგრესი და ახალ გამოწვევებთან გამკლავების აუცილებლობა



მინამატას ყურე ამჟამინდელი მდგომარეობით
(მინამატას დაავადებათა მუნიციპალური მუზეუმის ფოტოებიდან)

შესავალი

იაპონიაში ინდუსტრიალიზაციას მეიჯის პერიოდიდან (1868-1912 წწ.) თან ახლდა გარემოს დაზიანება. 1960-იან წლებში მთელი იაპონიის მასშტაბით გავრცელდა დაავადებები, რომელიც გამოწვეული იყო ქარხნების მიერ ჰაერისა და წყლების დაზიანებით. აღნიშნული სიტუაცია გაუმჯობესდა გარემოს დაცვის მკაცრი ღონისძიებების გატარების შედეგად, თუმცა კვლავ რჩება გადასაჭრელი ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა. ეს უკანასკნელი საჭიროებს აუცილებელი ზომების მიღებას, როგორცაა სათბურის გაზებისა და მყარი ნაწილაკების გამოყოფის შემცირება, აგრეთვე სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების გაზრდა. გლობალური ეკოლოგიური საკითხები კი, როგორცაა ოზონის შრის დაზიანება და გლობალური დათბობა, ვერ გადაიჭრება ერთი ქვეყნის მიერ. ამრიგად, ცხადია, რომ გარემოს დასაცავად დღის წესრიგში დგება გლობალური თანამშრომლობა, რაშიც იაპონია აქტიურადაა ჩართული.

1997 წლის დეკემბერში, კიოტოში ჩატარდა გაეროს ჩარჩო კონვენციის მხარეების კონფერენციის მესამე სესია კლიმატის ცვლილებაზე (COP3) და მიღებულ იქნა კიოტოს ოქმი, რომელიც არეგულირებდა ნახშირბადის დიოქსიდისა და სათბურის გაზების გამოყოფას 2008–2012 წლებში. ოქმის რატიფიცირება იაპონიაში 2002 წლის ივნისში მოხდა. მიუხედავად რატიფიცირებაზე შეერთებული შტატების უარისა, რუსეთის მიერ 2004 წელს გაკეთებული თანხმობა ნიშნავდა, რომ მისი ფორმალურად გატარებისთვის საჭირო აუცილებელი კრიტერიუმები დამაკმაყოფილებელი იყო, რის საფუძველზეც შეთანხმება ძალაში 2005 წლის თებერვალში შევიდა. იაპონია თავისი მრავალი ინიციატივის შედეგად წინ მიიწევს ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად ძლიერი „დაბალ–ნახშირბადული საზოგადოების“ შექმნის საქმეში.

მინამატას ყურე უსაფრთხოა

კუმამოტოს პრეფექტურის გუბერნატორის განცხადებით, მერკურის დონე მინამატას ყურეში მობინადრე თევზებსა და მოლუსკებში უსაფრთხო იყო მათი მოხმარებისთვის 1997 წლის 29 ივლისიდან. გუბერნატორის განცხადება ნიშნავდა ყურედან დამცავი ბადის სრულ ამოღებას, რომელიც 23 წლის მანძილზე აკავებდა ყურედან მერკურით დაბინძურებული თევზების ზღვაში გადინებას, რაც მიზნად ისახავდა აღკვეთილიყო გარემო პირობებით გამოწვეული დაავადება, რომელიც მინამატას დაავადების სახელითაა ცნობილი.

ორგანული მერკური (მეთილმერკურის ნაერთი) მინამატას ყურეში 1966 წლამდე, 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე, გამოიყოფოდა და მინამატას ყურეში ჩაედინებოდა ჩისსო მინამატას ქარხნიდან, რაც აზიანებდა როგორც მოსახლეობას, ასევე ცხოველებს. მინამატას დაავადების (ორგანული მერკურისგან მოწამვლა) ძირითადი სიმპტომებია ტრემორი (უნებლიე მოძრაობები და კანკალი), კიდურების დაბუყება და კუნთების მგრძნობელობის დაქვეითება, მოძრაობის კოორდინაციის მოშლა, მეტყველების დარღვევა, მხედველობის დაქვეითება და წონასწორობის დარღვევა. 1964 წლის აგვისტოდან 1965 წლის ივლისამდე მდინარე აგანოს ქვედა ნაწილში, ნიიგატას პრეფექტურის მოსახლეობაში ბევრს აღმოაჩნდა მინამატას დაავადების მსხვერპლთა მსგავსი სიმპტომები.

1968 წელს მინამატას დაავადება აღიარებულ იქნა გარემოს დაბინძურების შედეგად წარმოქმნილ დაავადებად. იაპონიის მთავრობამ შეიმუშავა მინამატას დაავადების მსხვერპლთა სკრინინგისა და სერტიფიცირების პროცედურები და ამ დაავადების მქონე მოსახლეობას, რომელსაც გააჩნდა დაავადებულობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გადაუხადა კომპენსაციები. დაახლოებით კომპენსაციის მსურველი 13,000 მოსახლიდან მხოლოდ 3,000 დაკმაყოფილდა.

იმედგაცრუებული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომელმაც ვერ მიიღო დაავადებულობის დამადასტურებელი მოწმობა ანუ სერტიფიკატი და დარჩა შესაბამისი კომპენსაციის გარეშე,

უჩივლა ეროვნულ და პრეფექტურის სამთავრობო ორგანოებსა და ჩისო კორპორეიშენს 1995 წელს. მომხივანთა უმეტესობასა და მთავრობას შორის შედგა გარიგება და არასერტიფიცირებულ დაზარალებულებს, რომელთაც აღენიშნებოდათ კიდურებში მგძნობელობის დაქვეითება, ფიქსირებული თანხები გადაუხადეს. კაგოშიმას, კუმამოტოსა და ნიიგატას პრეფექტურებში დაახლოებით 10,000 ადამიანს, მათ შორის გარდაცვლილების ოჯახებს, გადაეცათ ფულადი დახმარება. მინამატას დაავადების საფუძველზე კომპენსაციის მიღების მიზნით შეტანილი სარჩელების დარჩენილი ნაწილი, რომელიც მოსახლეობის იმ ნაწილს ეხებოდა, რომელმაც 1995 წელს მთავრობისგან შეთავაზება ვერ მიიღო, საბოლოოდ დარეგულირდა უხენაესი სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილებით, რომელიც ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას აკისრებს ეროვნულ მთავრობასა და კუმამატოს პრეფექტურას.

იმის გათვალისწინებით, რომ 2006 წელს, მთავრობის მიერ მინამატას დაავადების აღიარებიდან 50-ე წელი სრულდებოდა, 2005 წელს დაავადების მსხვერპლთა დამატებითი დახმარების მიზნით მთავრობამ გამოაცხადა მთელი რიგი ახალი ინიციატივები. 2009 წლის ივლისში კი მიღებულ იქნა კანონი, რომელიც გულისხმობდა მინამატას დაავადების არასერტიფიცირებულ მსხვერპლთა მდგომარეობის შემსუბუქებისთვის განსაკუთრებული ზომების გატარებას.

დაბინძურების საწინააღმდეგო ზომები

1960-70 წწ.-ში იაპონიაში გამოვლინდა გარემოს დაბინძურებისგან გამოწვეული მრავალი სერიოზული დაავადება. მინამატას დაავადების გარდა ერთმანეთის მიყოლებით გამოვლინდა რიგი სხვა დაავადებები, რომლებიც ასევე გარემოს დაბინძურების შედეგად გაჩნდა, როგორცაა მაგალითად იტაი-იტაის დაავადება, რომელმაც პირველად თავი იჩინა ტოიამას პრეფექტურაში მდინარე ჯინძუს აუზში; რესპირატორული დარღვევები გაჩნდა ტოკიო-იოკოჰამაში, ნაგოიასა და ოსაკა-კობეს სამრეწველო ზოლში; და ქრონიკული დარიშხანით მოწამვლა დაფიქსირდა ტოჰოკუს რაიონში, მიაძაკის პრეფექტურაში. დაბინძურების ეს ფორმები გამოწვეული იყო იმით, რომ აქცენტი გადატანილი იყო სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე და არა ხალხის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე. ამის საპირისპიროდ, იაპონიამ 1960-იანი წლებიდან მოყოლებული მიიღო მკაცრი კანონები გარემოს დაცვასთან დაკავშირებით.

1962 წელს მიღებული კანონი ჭვარტლისა და გამონაბოლქვის გამოყოფის შესახებ გაერთიანდა 1968 წლის ჰაერის დაბინძურების კონტროლის შესახებ კანონთან. წყლის ხარისხის შენარჩუნებისა და ქარხნებიდან გამდინარე მოხმარებული წყლების კონტროლის შესახებ 1958 წლის კანონები გაერთიანდა 1970 წლის კანონში წყლის დაბინძურების კონტროლის შესახებ. დაბინძურების საწინააღმდეგო ზომების შესახებ ძირითადი კანონი, რომელიც 1967 წელს იყო მიღებული, მიზნად ისახავდა სამთავრობო სააგენტოების მიერ დაბინძურების კონტროლის

ზოგადი პრინციპებისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებას და ერთიანი ძალისხმევით გარემოს დასუფთავების პოპულარიზაციას. ძირითად კანონში გაწერილია ცენტრალური მთავრობის, ადგილობრივი მთავრობისა და ბიზნეს კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხები დაბინძურების კონტროლზე. ამასთან, ძირითადად კანონმა საძირკველი ჩაუყარა გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის სტანდარტების დაწესებას, დაბინძურების მაკონტროლებელ პროგრამებსა და გარემოს დაბინძურების შედეგად წარმოშობილ დაავადებათა მსხვერპლების დახმარებისათვის გამიზნულ პოლიტიკას. 1972 წელს სხვადასხვა კანონებში გამოჩნდა პუნქტი, ე. წ. „პასუხისმგებლობა კომპენსაციებით“, რაც ბიზნესებს პასუხისმგებლობას აკისრებდა მათი მიზეზით ნებისთი თუ უნებლიედ გამოწვეული გარემოს დაბინძურების შედეგად დაზარალებულთა ჯანმრთელობის პრობლემებზე.

1993 წელს გარემოს დაბინძურების კონტროლის შესახებ ძირითადი კანონი შეცვალა გარემოს დაცვის შესახებ ძირითადმა კანონმა, რომლის მიზანს წარმოადგენდა გარემოს დაცვის სრულყოფილი და სისტემატური ზომების დანერგვის ხელშეწყობა. ახალი ძირითადი კანონის ფარგლებში, იაპონია დღესაც აქტიურად მუშაობს მსოფლიო მასშტაბით გარემოს დაცვის პოპულარიზაციაზე საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოების მიერ რესურსების მაქსიმალური მოხმარების გადახედვის გზით. 1997 წელს მიიღეს კანონი გარემოზე ზემოქმედებათა შეფასების შესახებ. ამ კანონით განსაზღვრულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოთხოვნები ფართომასშტაბიანი საჯარო თუ კერძო სექტორის პროექტებისთვის.

2001 წელს გარემოს დაცვის სააგენტო, რომელიც 1971 წელს შეიქმნა, მინისტრთა კაბინეტის დონეზე იქნა აყვანილი და გარემოს დაცვის სამინისტროდ გადაკეთდა.

ნარჩენების მოვლა და გადამუშავება



ჯიონანჯიმას ცხოველთა საკვების ცენტრი საკვები ნარჩენების გადამამუშავებელი ცენტრი ტოკიოში, ოტას რაიონში, რომელიც საკვები ნარჩენებისგან ცხოველების საკვებს ამზადებს. (Alfo კომპანიის ფოტოებიდან)

ნარჩენების უკანონოდ გადაყრის შემთხვევაში. ამის გამო, უკანონო გადაყრების რაოდენობა

იაპონიაში ყურადღების ცენტრში მოექცა ქარხნებისა და ბიზნესების მიერ გამომუშავებული სამრეწველო ნარჩენების მართვა. 1970 წლის ნარჩენების მართვისა და დასუფთავების შესახებ კანონი არეგულირებს გარკვეული სახის ნარჩენების გადაყრას, რომელსაც ქარხნები და ბიზნესები გამოიმუშავებენ; ეს ნარჩენებია: ჭვარტლი, ლამი, ნარჩენი ზეთი, გადაყრილი პლასტიკატი და სხვა. 2010 ფისკალურ წელს იაპონიაში სამრეწველო ნარჩენებმა 385,99 მილიონი ტონა შეადგინა, რაც დაახლოებით სახლებიდან და ოფისებიდან გატანილ ზოგად ნარჩენებზე დაახლოებით რვაჯერ მეტია.

1997 წელს განახლებული კანონი ნარჩენების მართვისა და დასუფთავების შესახებ, მოიცავს მკაცრ ჯარიმებს

ეტაპობრივად მცირდება, მაგრამ 2003 და 2004 ფისკალურ წლებში დიდი მოცულობით ნარჩენების უკანონოდ გადაყრის შემთხვევებმა გარემოს დაცვის სამინისტრო აიძულა გაეზარდა ნარჩენებისა და გადამუშავების მონიტორინგისთვის განკუთვნილი კადრების რაოდენობა.

1990 წლიდან მოყოლებული, იაპონიაში წლიურად გამომუშავებული ჩვეულებრივი (არა სამრეწველო) ნარჩენების მოცულობამ 50 მილიონ ტონას გადააჭარბა. ამის გამო მეტი ყურადღება დაეთმო ნარჩენების გადამუშავებას; იაპონიას აქვს მეორადი ქაღალდის გადამუშავების ერთერთი ყველაზე მაღალი კოეფიციენტი მსოფლიოში. შესაფუთი ყუთებისა და მასალის გადამუშავების შესახებ 1997 წელს მიღებული კანონის თანახმად, პოლიეთილენის ტერეფტალატის ბოთლების, მინის ბოთლების, ქაღალდისა და პლასტმასის ყუთების გადამუშავებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა მწარმოებლებს.

მასალების მეორადი გამოყენების თვალსაზრისით ჯანსაღი საზოგადოების შექმნის შესახებ ფუნდამენტური კანონი მიღებულ იქნა 2000 წელს და წარმოადგენს ნარჩენებისა და გადამუშავებისადმი სისტემატური და ყოვლისმომცველი მიდგომის საფუძველს. მას მოჰყვა რიგი ახალი კანონები ნარჩენების გადამუშავების შესახებ, რომელებიც კონკრეტულ სფეროებს ეხება, როგორცაა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საკვები ნარჩენები, სამშენებლო მასალები, ავტომობილები და პერსონალური კომპიუტერები.

2004 წელს დიდი რვიანის სამიტზე იაპონიამ საერთაშორისო დონეზე დააყენა ე. წ. „3R ინიციატივა“, რომელიც მოწონებულ იქნა. ინიციატივა მიზნად ისახავს 3R-ის (reduce - შემცირება, reuse - მეორადი გამოყენება, recycle - გადამუშავება) პოპულარიზაციას იმ მიზნით, რომ შემცირდეს ნარჩენები, შესაძლებლობის შემთხვევაში მოხდეს მასალების მეორადი გამოყენება და მათი გამოყენებისთვის გამოუსადეგარობის შემთხვევაში, მოხდეს მათი შემდგომი გადამუშავება.

დაბინძურებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები

დიოქსინი: იმის გამო, რომ იაპონიაში მიწის ფართობი შეზღუდულია, ნაგავსაყრელისთვის მიწის გამოყოფა მრავალი წელია პრობლემად რჩება. როგორც ბოლო რესურსი, იაპონიამ დაუშვა აუცილებლობიდან გამომდინარე ნარჩენების დაწვა. 1990-იან წლებში ნაგავის დაწვისგან წარმოქმნილი დიოქსინი საზოგადოების მთავარ პრობლემად იქცა. ტერმინი „დიოქსინი“ გულისხმობს ტეტრაქლოროდიბენზო-პე-დიოქსინის ნაერთს, რომელსაც აქვს სხეულში დაგროვების უნარი და იწვევს სიმსივნეს და თანდაყოლილ დეფექტებს.

დიოქსინის საწინააღმდეგო განსაკუთრებული ზომების შესახებ კანონი ძალაში შევიდა 1999 წელს. ეს კანონი მოიცავს დიოქსინის გამოყოფის რეგულირების, გარემოზე და ჯანმრთელობაზე მისი გავლენის მონიტორინგისა და მისი გამოყოფის შესამცირებლად სამთავრობო გეგმების

მომზადების მთელ რიგ პუნქტებს. 2004 წელს იაპონიამ შეასრულა დიოქსინის გამოყოფის შემცირებასთან დაკავშირებით დასახული გეგმა. ამის შედეგად, ზემოხსენებული ნივთიერების გამოყოფა დაახლოებით 95%-ით ნაკლები იყო 1997 წელთან შედარებით. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა დიოქსინის ყოველდღიური მიღების საშუალო მაჩვენებელიც - 4 პიკოგრამი სხეულის წონის ერთ კილოგრამზე.



დიზელზე მომუშავე ავტომობილების საგზაო რეგულირება

ინსპექტორები აჩერებენ ავტომობილს, რათა შეამოწმონ მისი შესაბამისობა კანონმდებლობასთან, რომელიც არეგულირებს მყარი ნაწილაკების გამოყოფის ნორმებს (ტოკიოს ავტოტრანსპორტის მიერ გამოწვეული დაბინძურების შემცირები)

ავტომობილების გამონაბოლქვი: მრავალი კანონისა და რეგულაციის წყალობით მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ქარხნებისგან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიმართულებით, მაგრამ იაპონიის დიდ ქალაქებში ჰაერის დაბინძურება აზოტის ოქსიდებითა და მყარი ნაწილაკებით, რომელსაც ავტომობილები გამოყოფს, კვლავაც იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მყარი ნაწილების უმეტესობა და აზოტის ოქსიდების დაახლოებით 80% დიზელის ძრავებისგან გამოიყოფა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ეროვნულმა მთავრობამ 2002 წელს მიიღო კანონი, რომლის მიხედვით აზოტის ოქსიდების გამოყოფაზე არსებულ შეზღუდვებს დაემატა მყარი ნაწილაკების გამოყოფასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ამასთან, ნორმები, რომლებიც ეხება სატვირთო ავტომობილებს,

ავტობუსებს და დიზელის ძრავზე მომუშავე მსუბუქ ავტომობილებს, ზღუდავს გარკვეული ტიპის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას კონკრეტულ დასახლებულ პუნქტებში.

ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ ეროვნული მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა ტემპით უკმაყოფილო ტოკიოს, საიტამას, ჩიბასა და კანაგავას პრეფექტურებმა 2003 წელს დაამტკიცეს კიდევ უფრო მკაცრი რეგულაციები, რომელიც აწესრიგებს დიზელის ძრავიანი ავტომობილებისა და ავტობუსების მიერ მყარი ნაწილაკების გამოყოფას. კერძოდ, ავტომობილი, რომელიც ახალ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, უნდა შეიცვალოს ან სპეციალური ფილტრი უნდა დაუმონტაჟდეს.

მაღალი ტექნოლოგიებისგან გამოწვეული დაბინძურება: უახლესი სამრეწველო ტექნოლოგიები, მაგალითად, ინტეგრალური მიკროსქემების წარმოება, იწვევს გარემოს დაბინძურებას და წარმოადგენს კიდევ ერთ პრობლემას იაპონიისთვის. გრუნტის წყლების დაბინძურება ხდება გამხსნელებით, მაგალითად, ტრიქლოროეთილენით, რომელიც გამოიყენება ინტეგრალური მიკროსქემის გასარეცხად და ტეტრაქლოროეთილენით, რომელიც ფართოდ გამოიყენება მშრალი წმენდისას. ორივე ქიმიკატი კანცეროგენურია. 1989 წელს განახლებული კანონი წყლის

დაბინძურების კონტროლის შესახებ მოიცავს რეგულაციებს გრუნტის წყალში ტოქსიკური სუბსტანციების ნორმების შესახებ, რომელთა შორის ეს ორი ნივთიერებაცაა მოხსენიებული. 1996 წელს კანონში ცვლილებების კვლავ შეტანის შემდეგ, გუბერნატორებს მიეცათ უფლება დააკისრონ გარემოს დამბინძურებელს პასუხისმგებლობა მის გასუფთავებაზე.

სტიქიური უბედურებებისგან გამოწვეული დაბინძურება: 2011 წლის მარტში, აღმოსავლეთ იაპონიის დიდმა მიწისძვრამ და თანმხლებმა ცუნამმა, დაახლოებით 270,000 შენობა დააზიანა. ნანგრევებმა და ნამსხვრევებმა, დაზიანებული ნაგებობის, ავტომობილებისა და სხვ. ჩათვლით, და ამასთან ნაპირზე გამორიყულმა ნარჩენებმა ჯამში 24 მილიონ ტონას გადააჭარბა. ეროვნულმა მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღო ზომები ნარჩენების შესაგროვებლად და გადასაყრელად დაზარალებული ქალაქებისა და სოფლების სახელით; დასუფთავების ხარჯები ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტიდან დაფარა.

მას შემდეგ, რაც ცუნამისაგან მიყენებული დაზიანების შედეგად ტოკიოს ელექტროენერჯის კომპანიის, ფუკუშიმა დაიჩის ბირთვული ელექტრო სადგურიდან მოხდა რადიოაქტიური სუბსტანციების გაჟონვა, მთავრობა მუდმივად ახორციელებს გარემოს მონიტორინგს და ზომავს რადიოაქტივობას ჰაერსა და წყალში.

გარემოს დაბინძურების სხვა სახეები: მთავრობამ მიიღო ზომები დაბინძურებისა და გარემოს მდგომარეობის გაუარესების მრავალი სხვა ფორმის, მათ შორის ხმაურის, ვიბრაციის, მიწის დაწვეის, შემაწუხებელი სუნისა და სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებით დაბინძურების წინააღმდეგ. ხმაურთან დაკავშირებული საჩივრების რაოდენობა აღემატება ნებისმიერი სხვა სახის გარემოს გაუარესებისა თუ დაბინძურების შესახებ საჩივრების რაოდენობას. აქედან ყველაზე მეტი საჩივარი მოდის უშუალოდ ქარხნების მიერ გამოწვეულ ხმაურზე, თუმცა მას არ ჩამოუვარდება სამშენებლო, სატრანსპორტო, აეროპორტის და სარკინიგზო ხმაურის შესახებ საჩივრების რიცხვიც.

1878	აშიოს სპილენძის საბადოდან (ტოჩიგის პრეფექტურა) გაჟონვა აბინძურებს ახლომდებარე მდინარეებს.
1893	პირველადაა შემჩნეული ჰაერის დაბინძურება ბემშის საბადოებიდან, ეჰიმეს პრეფექტურა.
1953	მინამატას დაავადება გამოვლინდა კუმამატოს პრეფექტურაში.
1955	მოსახლეობაში იტაი-იტაი დაავადება დაფიქსირდა, ექიმმა დიაგნოზი დასვა ტოიამას პრეფექტურაში.
1963	იოკაიჩიში (მიეს პრეფექტურა) დაფიქსირდა ასთმის შემთხვევების ზრდა, რაც პირველად იქნა დაკავშირებული სამრეწველო კომპლექსის მიერ ჰაერის დაბინძურებასთან.
1964	მინამატას დაავადება დაფიქსირდა ნიიგატას პრეფექტურაში.

1967	მიღებულ იქნა ძირითადი კანონი ეკოლოგიური დაბინძურების საწინააღმდეგო ზომების შესახებ.
1968	მიღებულ იქნა კანონი ჰაერის დაბინძურების კონტროლის შესახებ.
1971	დაარსდა გარემოს დაცვის სააგენტო.
1972	მიღებულ იქნა კანონი ბუნების კონსერვაციის შესახებ.
1974	დაარსდა გარემოს შესწავლის ეროვნული ინსტიტუტი.
1980	დაიწყო კვლევა მჟავა წვიმის შესახებ.
1983	ნაგავსაწვავების გამონაბოლქვში აღმოჩენილ იქნა დიოქსინი.
1988	მიღებულ იქნა ოზონის შრის დაცვის შესახებ კანონი, რომელიც მოიცავს პუნქტებს ქლორფტორნახშირბადის მოხმარების შემცირების შესახებ.
1989	აზბესტის მოხმარების კონტროლის მიზნით, ჰაერის დაბინძურების კონტროლის შესახებ კანონში შევიდა ცვლილებები.
1993	მიღებულ იქნა ძირითადი კანონი გარემოს დაცვის შესახებ.
1995	მინამატას დაავადების მსხვერპლთა ორგანიზაციები მთავრობისგან იღებენ წინადადებას მსხვერპლთა დახმარების შესახებ.
	ნატრიუმის გაჟონვა დაფიქსირდა ბირთვული ენერჯის რეაქტორზე და ბირთვული საწვავის განვითარების კორპორაციის სწრაფი ნეიტრონების რეაქტორზე „მონჯიუ“.
1997	რადიაციული გაჟონვა დაფიქსირდა ტოკაის ბირთვული საწვავის გადამამუშავებელ ქარხანაში, რომლის ექსპლუატაციას ახორციელებს ბირთვული ენერჯის რეაქტორი და ბირთვული საწვავის განვითარების კორპორაცია.
	კიოტოში ჩატარდა კლიმატის ცვლილებაზე გაეროს ჩარჩო კონვენციის მხარეების მესამე კონფერენცია.
	მიღებულ იქნა შეფუთვისა და კონტეინერის გადამამუშავების შესახებ კანონი.
1999	მიღებულ იქნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კანონი.
	ადგილი ჰქონდა შემთხვევას შპს. JCO Co.-ზე, რომლის შედეგად თანამშრომლებში გამოვლინდა რადიაციის მაღალი დონე და მოხდა მიმდებარე ტერიტორიიდან მოსახლეობის ევაკუირება.
	ძალაში შევიდა დიოქსინის საწინააღმდეგო სპეციალური ზომების შესახებ კანონი.
2000	ძალაში შევიდა ფუნდამენტური კანონი მასალების მეორადი გამოყენებისთვის, რაც ასევე ეხებოდა მაღალი თვითშეგნების მქონე საზოგადოების დამკვიდრებას.
	გარემოს დაცვის სააგენტო გადაკეთდა გარემოს დაცვის სამინისტროდ.
2001	ძალაში შევიდა კანონი საყოფაცხოვრებო ელექტრო საქონლის გადამამუშავების შესახებ.
	ძალაში შევიდა კანონი საკვები რესურსების გადამამუშავების პოპულარიზაციის შესახებ.
2002	ძალაში შევიდა კანონი სამშენებლო მასალების გადამამუშავების შესახებ.
	ძალაში შევიდა კანონი საავტომობილო ჯართის გადამამუშავების შესახებ.

	აზოტის ოქსიდებზე არსებულ შეზღუდვებს დაემატა ავტომობილების მიერ მყარი ნაწილაკების გამოყოფაზე შეზღუდვები.
2003	ძალაში შევიდა კანონი ბუნების აღდგენის შესახებ.
	ძალაში შევიდა კანონი ნიადაგის დაბინძურების საწინააღმდეგო ზომების შესახებ.
2005	ძალაში შევიდა კიოტოს პროტოკოლი.
	ძალაში შევიდა განახლებული კანონი გლობალური დათბობის საწინააღმდეგო ზომების პოპულარიზაციის შესახებ.
	ძალაში შევიდა კანონი აზბესტისგან გამოწვეული საფრთხის პრევენციის შესახებ.
2006	ჩატარდა მინამატას დაავადების ოფიციალურად აღიარების 50 წლისთავის აღსანიშნავი ცერემონია.
2008	ჰოკაიდოში, ტოიაკოს სამიტზე 8 ყველაზე დიდი სამრეწველო ქვეყნის ლიდერი შეთანხმდა გრძელვადიან გეგმაზე, რომელიც გულისხმობს 2050 წლისთვის სასათბურე აირების გამოყოფის განახევრებას.
2009	მიიღეს კანონი მინამატას დაავადების მსხვერპლთა მდგომარეობის შემსუბუქების სპეციალური ზომების შესახებ.
2010	კაბინეტმა მიიღო ძირითადი აქტი გლობალური დათბობის საწინააღმდეგო ზომების შესახებ.
2011	კაბინეტმა მიიღო ძირითადი აქტი გლობალური დათბობის საწინააღმდეგო ზომების შესახებ.